## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №28/ნ
## 2023 წლის 27 აპრილი

## ქ. თბილისი

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №102/ნ - ვებგვერდი, 09.11.2023 წ.*

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №102/ნ - ვებგვერდი, 09.11.2023 წ.*

### მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ქართული ვერსია) ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ა$^{1}$) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი (ინგლისური ვერსია) ამ ბრძანების დანართი №1$^{1}$-ის შესაბამისად;

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ემბლემის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) მედიასთან კომუნიკაციის ბანერის ფორმა ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №84/ნ - ვებგვერდი, 11.09.2023 წ.*

### მუხლი 1$^{1}$

1. ემბლემა წარმოადგენს მეწამული არშიით შემოსაზღვრულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის ველზე გამოსახულია მეწამული ფერის წიგნის სტილიზებული ფიგურა.
2. ემბლემის გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა) ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის.

3. ემბლემა შეიძლება გამოისახოს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის ბეჭდვით გამოცემებზე, ვიდეო- და ფოტომასალაზე;

გ) სარეკლამო-საინფორმაციო, სუვენირულ პროდუქციაზე და სამსახურებრივ ინვენტარზე.

4. საჭიროების შემთხვევაში, ემბლემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები შესაძლებელია

დაზუსტდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი ემბლემის აღმართვისას იხელმძღვანელებს „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის №282 დადგენილებით.

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №102/ნ - ვებგვერდი, 09.11.2023 წ.*

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

გიორგი ამილახვარი